

# DEUTSCH IN GEORGIEN

## გერმანული ენა საქართველოში



Europäische Charta der Regional-  
oder Minderheitensprachen

რეგიონული ან უმცირესობათა  
ენების ევროპული ქარტია

► [coe.int/minlang](https://coe.int/minlang)

Sprachführer

გზამკვლევი

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

*Die Europäische Charta der Regional- oder Minderheitensprachen ist ein Abkommen des Europarats, das die in einem Land traditionell gesprochenen Minderheitensprachen fördert. Die Sprachencharta enthält verschiedene Fördermaßnahmen, die den Gebrauch solcher Sprachen im öffentlichen Leben ermöglichen und ermutigen, insbesondere in Schulen, Kulturveranstaltungen, Medien, Unternehmen und Behörden.*

*Georgien hat sich bei seinem Beitritt zum Europarat 1999 zur Ratifizierung der Europäischen Charta der Regional- oder Minderheitensprachen verpflichtet. Sobald die georgischen Behörden dies umgesetzt haben und die Sprachencharta in Georgien gilt, wird sie auch die deutsche Sprache fördern, da Deutsch eine der in Georgien traditionell gesprochenen Minderheitensprachen ist. Dieser Sprachführer enthält die Fördermaßnahmen der Europäischen Sprachencharta, die Georgien auf die deutsche Sprache anwenden möchte.*

**რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია** წარმოადგენს ევროპის საბჭოს კონვენციას, რომელიც ხელს უწყობს იმ უმცირესობათა ენების დაცვას, რომლებზეც ტრადიციულად საუბრობენ ქვეყანაში. ენათა ქარტია ითვალისწინებს ხელშეწყობის სხვადასხვა ღონისძიებებს, რომლებიც შექმნილია იმის უზრუნველსაყოფად და წასახალისებლად, რომ მოხდეს ამ ენების საჯაროდ, განსაკუთრებით სკოლებში, კულტურულ ღონისძიებებში, მედიაში, კომპანიებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში გამოყენება.

1999 წელს ევროპის საბჭოში გაწევრიანების დროს, საქართველომ იკისრა რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის რატიფიცირება. როგორც კი საქართველოს ხელისუფლება მოახდენს ქარტიის რატიფიცირებას და დოკუმენტი შევა ძალაში, იგი ხელს შეუწყობს გერმანული ენის დაცვასაც, რადგან იგი წარმოადგენს უმცირესობათა იმ ერთ-ერთ ენას, რომელზეც ტრადიციულად საუბრობენ საქართველოში. მოცემული ენის გზამკვლევი მოიცავს ენების ევროპული ქარტიით გათვალისწინებულ ხელშეწყობის იმ ღონისძიებებს, რის გამოყენებასაც საქართველო აპირებს გერმანულის მიმართ.

*Unterstützen Sie diese Maßnahmen:  
Wenn auch Sie die deutsche Sprache  
regelmäßig in verschiedenen Bereichen  
verwenden, leisten Sie einen wichtigen  
Beitrag zur Erhaltung und Entwicklung  
des Deutschen als eine der Sprachen  
Georgiens.*

*მხარი დაუჭირეთ ამ ღონისძიე-  
ბებს: თუ თქვენც რეგულარულად  
იყენებთ გერმანულ ენას სხვადა-  
სხვა სფეროში, თქვენ მნიშვნელოვან  
წვლილს შეიტანთ გერმანულის, რო-  
გორც საქართველოს ენის, შენარ-  
ჩუნებისა და განვითარების საქმეში.*

## ZIELE UND GRUNDSÄTZE

— Hinsichtlich der deutschen Sprache legt Georgien in den Gebieten, in denen Deutsch gebraucht wird, unter Berücksichtigung der Lage der deutschen Sprache seiner Politik, Gesetzgebung und Praxis folgende Ziele und Grundsätze zugrunde:

- ▶ die **Anerkennung der deutschen Sprache** als Ausdruck des kulturellen Reichtums
- ▶ die **Achtung des geografischen Gebiets der deutschen Sprache**, um sicherzustellen, dass bestehende oder neue Verwaltungsgliederungen die Förderung des Deutschen nicht behindern
- ▶ die **Notwendigkeit entschlossenen Vorgehens zur Förderung des Deutschen**, um es zu schützen

## მიზნები და პრინციპები

— საქართველო საკუთარ პოლიტიკას, კანონმდებლობასა და პრაქტიკულ საქმიანობას გერმანული ენის მიმართ იმ ტერიტორიის ფარგლებში, სადაც ეს ენა გამოიყენება და ამ ენის კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად, ააგებს შემდეგ მიზნებსა და პრინციპებზე დაყრდნობით:

- ▶ **გერმანული ენის აღიარება** კულტურული სიმდიდრის გამოსატულებად
- ▶ **გერმანული ენის გეოგრაფიული არეალის პატივისცემა** იმის უზრუნველსაყოფად, რომ არსებული ან ახალი ადმინისტრაციული დაყოფა დაბრკოლებას არ წარმოადგენდეს გერმანული ენის განვითარებისათვის
- ▶ **საჭიროების შემთხვევაში, გერმანული ენის განვითარებისათვის გადამჭრელი მოქმედების აუცილებლობის უზრუნველყოფა**, მისი დაცვის მიზნით

- ▶ die Erleichterung und/oder Ermu-  
tigung des Gebrauchs der deut-  
schen Sprache in Wort und Schrift  
im öffentlichen und privaten Leben
- ▶ die Erhaltung und **Entwicklung  
von Verbindungen** in den von der  
Charta erfassten Bereichen **zwi-  
schen Gruppen, die in Georgien  
Deutsch gebrauchen**, sowie das  
Herstellen kultureller Beziehungen  
zu anderen Gruppen in Georgien,  
die andere Sprachen gebrauchen
- ▶ die Bereitstellung geeigneter For-  
men und Mittel für das **Lehren und  
Lernen der deutschen Sprache  
auf allen geeigneten Stufen**
- ▶ die Bereitstellung von Einrich-  
tungen, die es nichtdeutschspra-  
chigen Personen ermöglichen,  
Deutsch zu erlernen
- ▶ die Förderung des **Studiums und  
der Forschung im Bereich der  
deutschen Sprache** an Universität-  
en oder in gleichwertigen Einrich-  
tungen
- ▶ ზეპირი და წერილობითი ფორმით,  
საჯაროდ და პირად ცხოვრებაში  
გერმანული ენის გამოყენების ხელ-  
შეწყობა და/ან წახალისება
- ▶ ქართვით გათვალისწინებულ  
სფეროებში **გერმანულ ენაზე მო-  
ლაპარაკე ჯგუფებს შორის კონ-  
ტაქტების** შენარჩუნება და გან-  
ვითარება, აგრეთვე კულტურუ-  
ლი ურთიერთობების დამყარება  
სახელმწიფოში მცხოვრებ სხვა  
ჯგუფებთან, რომლებიც განსხ-  
ვავებულ ენებზე საუბრობენ
- ▶ განათლების სისტემის ყველა შე-  
საბამის საფეხურზე **გერმანული  
ენის სწავლებისა და შესწავლის  
სათანადო ფორმებისა და სა-  
შუალებების უზრუნველყოფა**
- ▶ გერმანულ ენაზე არამოსაუბრე  
პირებისათვის ენის შესასწავლად  
პირობების შექმნა, თუ ისინი ცხოვ-  
რობენ იმ ტერიტორიაზე, სადაც  
ეს ენა გამოიყენება და აქვთ მისი  
შესწავლის სურვილი
- ▶ უნივერსიტეტებსა ან შესაბამის  
დანესებულებებში **გერმანული  
ენის შესწავლისა და კვლევის ხელ-  
შეწყობა**

▶ die Förderung des **grenzüberschreitenden Austausches** mit Staaten, in denen Deutsch gebraucht wird, in den von der Charta erfassten Bereichen.

▶ ამ ქარტიით გათვალისწინებულ სფეროებში **სახელმწიფოთაშორისი გაცვლების** შესაბამისი ფორმების ხელშეწყობა გერმანული ენისთვის.

Georgien verpflichtet sich, sofern dies noch nicht geschehen ist, jede **ungerechtfertigte Unterscheidung, Ausschließung, Einschränkung oder Bevorzugung zu beseitigen, die den Gebrauch der deutschen Sprache betrifft** und darauf ausgerichtet ist, die Erhaltung oder Entwicklung des Deutschen zu beeinträchtigen oder zu gefährden. Das **Ergreifen besonderer Maßnahmen zugunsten des Deutschen**, welche die Gleichstellung zwischen den Sprechern des Deutschen und der übrigen Bevölkerung fördern sollen oder welche ihre besondere Lage gebührend berücksichtigen, gilt nicht als diskriminierende Handlung gegenüber den Sprechern weiter verbreiteter Sprachen.

**გერმანული ენის გამოყენების მიმართ**, საქართველო იღებს ვალდებულებას აღკვეთოს, თუ ჯერ არ აღუკვეთავს, **ნებისმიერი გაუმართლებელი გამორჩევა, გამორიცხვა, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება**, რომელიც მიმართულია ამ ენის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის ხელის შეშლისა ან საფრთხეში ჩაგდებისაკენ. ამასთან, **გერმანული ენის სასარგებლოდ სპეციალური ზომების მიღება**, რომლებიც მიზნად ისახავს ამ ენაზე მოლაპარაკეთა და დანარჩენ მოსახლეობას შორის თანასწორობის ხელშეწყობას, ან რომლებიც სათანადოდ იღებს მხედველობაში ამ ენის განსაკუთრებულ პირობებს, არ ჩაითვლება დისკრიმინაციის აქტად უფრო გავრცელებულ ენებზე მოლაპარაკეთა მიმართ.

Georgien verpflichtet sich, durch geeignete Maßnahmen das gegenseitige Verständnis zwischen allen Sprachgruppen des Landes zu fördern, indem

საქართველო იღებს ვალდებულებას, შესაბამისი ღონისძიებებით ხელი შეუწყოს ურთიერთგაგებას ქვეყნის ყველა ლინგვისტურ ჯგუფს შორის.

es insbesondere **Achtung, Verständnis und Toleranz gegenüber den Minderheitensprachen** in die Ziele der in Georgien vermittelten Bildung und Ausbildung einbezieht und indem es die Massenmedien ermutigt, dasselbe Ziel zu verfolgen.

Bei der Festlegung seiner Politik in Bezug auf die deutsche Sprache **berücksichtigt Georgien die von den Gruppen, die Deutsch gebrauchen, geäußerten Bedürfnisse und Wünsche.** Georgien wird ermutigt, erforderlichenfalls Gremien zur Beratung der Behörden in allen Angelegenheiten der deutschen Sprache einzusetzen.

Dieser Sprachführer gibt einen lesefreundlichen Überblick über Bestimmungen der Europäischen Charta der Regional- oder Minderheitensprachen, die im Erklärungsentwurf des Georgischen Parlaments zur Ratifizierung der Europäischen Charta der Regional- oder Minderheitensprachen genannt sind. Dieser Entwurf wurde im Juni 2013 von Georgiens hochrangigem interministeriellen Ausschuss zur Charta und Sachverständigen des Europarats erarbeitet. Den genauen Wortlaut aller Bestimmungen der Europäischen Charta der Regional- oder Minderheitensprachen finden Sie auf der Webseite des Europarats:  
<http://www.conventions.coe.int/?lg=de>  
(Vertrag Nr. 148).

კერძოდ, ქვეყანაში განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში შემუშავებულ სამოქმედო მიზნებს შორის მოახდინოს **გერმანული ენის მიმართ პატივისცემის, გაგებისა და ტოლერანტული დამოკიდებულების** ჩართვა და ასევე ნაახალისოს მას-მედია ამავე მიზნების მისაღწევად.

გერმანული ენის მიმართ პოლიტიკის განსაზღვრისას, საქართველო **მხედველობაში მიიღებს ამ ენაზე მოლაპარაკე ჯგუფების საჭიროებებსა და მათ მიერ გამოთქმულ სურვილებს.** აუცილებლობის შემთხვევაში, საქართველოს მიერ ნახალისდება ისეთი ორგანოების შექმნა, რომელთა მიზანია ხელისუფლების ორგანოებისათვის რჩევების მიცემა გერმანულ ენასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე.

ენის ეს გზამკვლევი წარმოადგენს რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის იმ დებულებებს გამარტივებული ფორმით, რომლებიც მოხსენიებულია საქართველოს პარლამენტის დეკლარაციის პროექტში "რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის" რატიფიკაციის შესახებ. ეს დოკუმენტი მომზადდა 2013 წლის ივნისში „რეგიონული და უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ თაობაზე საქართველოს ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიისა და ევროპის საბჭოს ექსპერტების მიერ. ქარტიის სრული ავთენტური ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ევროპის საბჭოს ვებ-გვერდზე:  
<http://conventions.coe.int>  
(treaty No. 148)

Als Angehöriger der deutschen Minderheit genießen Sie auch den Schutz des **Rahmenübereinkommens zum Schutz nationaler Minderheiten**. Mit diesem Europarat-Abkommen fördert Georgien die Bedingungen, die Angehörigen nationaler Minderheiten die **Pflege und Weiterentwicklung ihrer Kultur und der wesentlichen Bestandteile ihrer Eigenart (Religion, Sprache, Traditionen, Kulturerbe)** ermöglichen, und schützt diese Personen vor Assimilierung. Das Rahmenübereinkommen gewährleistet das Recht auf Gebrauch einer Minderheitensprache im öffentlichen Leben und umfasst den Zugang zu **Lehrbüchern**, das Recht auf Gründung und Betrieb **privater Bildungs- und Ausbildungseinrichtungen**, das Recht auf Gebrauch von **Vornamen und Straßennamen** in einer Minderheitensprache, das Recht auf öffentliche Anbringung **privater Aufschriften** in einer Minderheitensprache, die wirksame **Teilnahme** am öffentlichen Leben (auch in Verbänden) und den Abschluss von **Minderheitenschutz-Verträgen** mit anderen Staaten.

თქვენ, როგორც გერმანული ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი, ასევე სარგებლობთ **ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ** ევროპის საბჭოს **ჩარჩო კონვენციით**. ამ ხელშეკრულებით, სახელმწიფო ხელს უწყობს შესაბამისი პირობების შექმნას ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის, რათა მათ **შენარჩუნონ და განავითარონ საკუთარი კულტურა** და მათი **იდენტობის** ძირითადი ელემენტები (**ენა, რელიგია, ტრადიციები და კულტურული მემკვიდრეობა**) და იცავს ასეთ პირებს ასიმილაციისგან. ჩარჩო კონვენცია იცავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში უმცირესობის ენის გამოყენების უფლებას და იგი ვრცელდება ისეთ ასპექტებზე, როგორცაა **სახელმძღვანელოების** ქონა, **კერძო საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების ცენტრების** შექმნისა და მართვის უფლება, **სახელების** გამოყენებისა და ქუჩის დასახელებების უმცირესობის ენაზე განთავსების, **კერძო ხასიათის წარწერების** უმცირესობის ენაზე გაკეთების უფლება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეფექტური **მონაწილეობა** (მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებში) და სხვა სახელმწიფოებთან **უმცირესობათა დაცვაზე ხელშეკრულებების** გაფორმება.

Die Europäische Charta der Regional- oder Minderheitensprachen ist ein Abkommen des Europarats, das die in einem Land traditionell gesprochenen Minderheitensprachen fördert. Dieser Sprachführer enthält die Fördermaßnahmen der Charta, die Georgien auf die deutsche Sprache anwenden möchte.

Weitere Informationen über die Europäische Charta der Regional- oder Minderheitensprachen und den Europarat finden Sie auf unseren Webseiten:

[coe.int/minlang](http://coe.int/minlang)  
[coe.int](http://coe.int)  
[coe.ge](http://coe.ge)

Der Europarat ist Europas führende Organisation für Menschenrechte. Er hat 47 Mitgliedsstaaten, von denen 28 auch Mitglied der Europäischen Union sind. Alle Mitgliedsstaaten des Europarats haben die Europäische Menschenrechtskonvention gezeichnet, ein Vertrag zum Schutz der Menschenrechte, der Demokratie und der Rechtsstaatlichkeit. Der Europäische Gerichtshof für Menschenrechte überwacht die Umsetzung der Konvention in den Mitgliedsstaaten.

რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია წარმოადგენს ევროპის საბჭოს კონვენციას, რომელიც ხელს უწყობს იმ უმცირესობათა ენების დაცვას, რომლებზეც ტრადიციულად საუბრობენ ქვეყანაში. მოცემული ენის გზამკვლევი მოიცავს ენების ევროპული ქარტით გათვალისწინებულ ხელშეწყობის იმ ღონისძიებებს, რის გამოყენებასაც საქართველო აპირებს გერმანულის მიმართ.

რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიისა და ევროპის საბჭოზე დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ, ეწვიოთ ჩვენს ვებ-გვერდებს:

[coe.int/minlang](http://coe.int/minlang)  
[coe.int](http://coe.int)  
[coe.ge](http://coe.ge)

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მონივრულ ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 47 წერი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთაგან 28 ევროპის კავშირის წევრია. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას – ხელშეკრულებას, რომელიც გამიზნულია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

DEU  
KAT

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE